# საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 119

20 11 წ. "04" 08

ქ. თბილისი

**შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ**

შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის $56^2$-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, $56^4$-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს - ევროპულ საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 201953154) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №14 სხდომის ოქმის მე-5 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
იოსებ სალუქვაძე

სხდომის მდივანი
გაიანე სიმონია